



*Handwritten notes and signatures in the top left corner, including the number '3' and '05.08.2011'.*

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 130

2011 წლის 4 აგვისტო ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში  
არსებული ქონების შპს „საქართველოს უნივერსიტეტის  
საშუალო სკოლისათვის“ პირდაპირი მიყიდვის  
ფორმით პრივატიზების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 27 ივლისის №05-142/12 წერილის გათვალისწინებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-5, მე-8 და მე-12 მუხლების შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №5-ში მდებარე 1556 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 987 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.23.23.002) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას“ (ს/კ 205258344) შემდეგი პირობებით:

ა) ობიექტის საპრივატიზებო თანხის გადახდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში, საკუთრებაში გადაცემული ობიექტში ამოქმედოს საშუალო სკოლა, რომელიც გათვლილი იქნება არანაკლებ 150 მოსწავლეზე და განახორციელოს არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიცია;

გ) საშუალო სკოლის ამოქმედებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში დაასაქმოს არანაკლებ საქართველოს 95 მოქალაქე;

დ) „საშუალო სკოლას“ პროფილი შეუნარჩუნოს არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო  
გეგმოსწავლით კომპლექსური დანიშნულება  
№ 3625-05-05  
ფურცლის რაოდენობა

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ბოლქვაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.



ლევან ვარშალომიძე